

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 13 აგვისტოს სხდომის

ოქმი =35

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 14. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

### **წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს, რომელიც ეხება სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, კერძოდ:

1.1. ადმინისტრაციის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების მუხლიდან, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ხარჯებიდან 17 780 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის მოსაკრებლების ხარჯების პუნქტში;

1.2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 19 735 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის მუხლში;

2. კვლევითი ინსტიტუტების დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებსა და სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ:

- ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის - 384 ლარი,
- ბიოტექნოლოგიური ცენტრის - 540 ლარი,
- ინსტიტუტს „ტექნიფორმის“ – 768 ლარი,
- ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის - 1 620 ლარი,
- კვების მრეწველობის ინსტიტუტის - 120 ლარი,

- ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის - 990 ლარი,
- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის - 136 ლარი,
- ვ. ჭავჭავანიძის კიბერნეტიკის ინსტიტუტის - 1 380 ლარი,
- წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის - 60 ლარი,

სულ ჯამში 5 998 ლარი, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ხარჯებიდან გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის მოსაკრებლების ხარჯების პუნქტში;

3. სტუ-ს თანადაფინანსების წილი საერთაშორისო პროექტში „ტემპუსი“ №516613 შეადგენს 17 854 ლარს, რომლის აკუმულირებაც განხორციელდა სუბსიდიის მუხლში. პროექტის შესასრულებლად საჭიროა აპარატურის, მოწყობილობებისა და მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 15 987 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში, ხოლო 1 724 ლარი – ოფისის ხარჯების მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯების პუნქტში;

4. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან, ეკონომიკური შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარების მუხლში;

5. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (2013 წლის 28 ივნისის №6 ოქმი) ცვლილება განიცადა 2013 წლის 25 აპრილის №30/26 საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გრანტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების მუხლიდან 47 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების ელექტრომომწყობილობებისა და ოპტიკური ხელსაწყოების შეძენის მუხლში.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ვფიქრობ, ეს ყველაფერი წინასწარ უნდა ყოფილიყო გაწერილი და ამდენი გადატანა აღარ დაგვჭირდებოდა.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 13 აგვისტოს =35 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: სტუ-ს 2013 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ადმინისტრაციის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების მუხლიდან, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ხარჯებიდან 17 780 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის მოსაკრებლების ხარჯების პუნქტში;

1.2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 19 735 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის მუხლში;

2. კვლევითი ინსტიტუტების დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვებსა და სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ:

- ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის - 384 ლარი,
- ბიოტექნოლოგიური ცენტრის - 540 ლარი,
- ინსტიტუტს „ტექინფორმის“ – 768 ლარი,
- ნ. მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის - 1 620 ლარი,

- კვების მრეწველობის ინსტიტუტის - 120 ლარი,

- ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის - 990 ლარი,

- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის - 136 ლარი,

- ვ. ჭავჭავანიძის კიბერნეტიკის ინსტიტუტის - 1 380 ლარი,

- წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის - 60 ლარი,

სულ ჯამში 5 998 ლარი, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ხარჯებიდან გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის მოსაკრებლების ხარჯების პუნქტში;

3. სტუ-ს თანადაფინანსების წილი საერთაშორისო პროექტში „ტემპუსი“ №516613 შეადგენს 17 854 ლარს, რომლის აკუმულირებაც განხორციელდა

სუბსიდიის მუხლში. პროექტის შესასრულებლად საჭიროა აპარატურის, მოწყობილობებისა და მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სუბსიდიის მუხლიდან 15 987 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში, ხოლო 1 724 ლარი – ოფისის ხარჯების მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის ხარჯების პუნქტში;

4. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკუთარი შემოსავლებიდან, ეკონომიკური შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარების მუხლში;

5. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (2013 წლის 28 ივნისის №6 ოქმი) ცვლილება განიცადა 2013 წლის 25 აპრილის №30/26 საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გრანტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში საქონელი და მომსახურების მუხლიდან 47 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების ელექტრომოწყობილობებისა და ოპტიკური ხელსაწყოების შეძენის მუხლში.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მაღლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე